ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2023 წლის 21 ივლისი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 ივნისის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 ივნისის №44 დადგენილებაში (ვებგვერდი – www.matsne.gov.ge; თარიღი 18/06/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.138.016358) და დადგენილებით დამტკიცებულ დანართში მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საქართველოს პარლამენტის წევრს – ახალციხის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**